


# გარემო და საზოგადოება

საქართველოს მთავრობა მოძრაობის პრინციპები გამოხვავა. № 2 (25) 2014 წელი



## გამოცვები საქართველოს ენერგო-სექტორში და მდგრადი განვითარება

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს და ფრიდრიხ ებერტის ფონდის ორგანიზებით სასტუმრო შერატონ მეტები პალასში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „გამოწვევები საქართველოს ენერგო-სექტორში და მდგრადი განვითარება“

კონფერენციის მიზანი იყო საქართველოს ენერგო-სექტორის პრობლემების შეფასება მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, ქვეყნის ენერგობალანსში განახლებადი ენერგიების წილის ზრდისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობისათვის გზების დასახვა. კონფერენცია წარმოადგენდა შემაჯამებელ ღონისძიებას და მას წინ უსწრებდა სამუშაო ჯგუფებში ჩართული ექსპერტების რამდენიმეთვიანი მუშაობა, რომლის შედეგადაც მომზადებული იქნა მიმოხილვები, დასკვნები და რეკომენდაციები ზემოაღნიშნული მიმართულებებით.



კონფერენციის მომსენებლების მიერ წარმოდგენილ დასკვნებში არაერთხელ გაესვა ხაზი იმ ფაქტს, რომ საქართველოს გააჩნია ენერგიის განახლებადი წყაროების (ჰიდრო, მზე, ქარი, გეოთერმული) დიდი პოტენციალი და რომ, მათი მხოლოდ მცირე ნაწილია ათვისებული. ამასთან, ქვეყანაში ენერგიის წარმოებას დიდი დანაკარგები ახლავს, რომელსაც ემატება კიდევ უფრო არაენერგოეფექტური მოხმარება. ეს დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას, რადგან ქვეყანაში მოხმარებული ენერგიის დაახლოებით 60% იმპორტირებულია.



აღინიშნა, რომ საქართველოს სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული აქვს ვალდებულება განავითაროს ენერგიის განახლებადი წყაროები და ხელი შეუწყოს ენერგოეფექტური ღონისძიებებისა და ტექნოლოგიების დანერგვას. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დროული და ეფექტური ქმედითი ღონისძიებების გატარება.

**კონფერენციაზე** წარმოდგენილმა დასკვნებმა მონაწილეებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. კონფერენციის დასასრულს მონაწილეებს დაურიგდათ სპეციალურად კონფერენციისათვის მომზადებული დეკლარაციის ტექსტის პროექტი, რომლის საბოლოო ვარიანტიც, ხელმოწერილი საქართველოს არასამთავრობო (საზოგადოებრივი) ორგანიზაციების, ექსპერტებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების მიერ, გადაეგზავნება შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს.

კონფერენციას ესწრებოდნენ ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი საქართველოში, ასევე, ენერგეტიკის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების, ქალაქის მერიის, არასამთავრობო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე და კომიტეტის წევრი, ექსპერტები.

კონფერენცია ორგანიზებული იყო არა-სამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ მიერ, „ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის“ (WECF) თანამშრომლობით და ფრიდრიხ ებერტის ფონ-დის ფინანსური მხარდაჭერით.



\* \* \*

**საქართველოს არასამთავრობო (საზოგადოებრივი) ორგანიზაციების,  
ეპსერობისა და სამაცნეოობო წლების თაობისათვების დაალიანიდა  
„საქართველოს ენერგეტიკის სფეროსა და მდგრად განვითარება“**

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის/დედამიწის მეგობრები-საქართველოს მიერ ორგანიზებულმა წარმომადგენლობითმა საერთაშორისო კონფერენციამ განიხილა რა, საკითხი – „საქართველოს ენერგეტიკის სფეროს გამოწვევები და მდგრადი განვითარება“ – (Challenges in Energy Sector of Georgia and the Environment), შეაფასა საქართველოს ენერგეტიკის სფეროში არსებული მდგომარეობა და მისი მოდერნიზაციის შესაძლებლობები, აგრეთვე სისტემის მოდერნიზაციის მიზნით აღებული სახელისუფლო კურსი და მივიდა დასკვნამდე, რომ საყოველთაოდ ცნობილ გამოწვევებთან გამკლავება არა მხოლოდ ენერგოსისტემის, არამედ მთლიანად საქართველოს სახელმწიფოსათვის იქნება ურთულესი და ყველაზე მეტად საპასუხისმგებლო პერიოდი, რადგანაც ქვეყნის მდგრადი ენერგოუზრუნველყოფის საკითხი უფლებამოსილ პირთა მიერ არ არის ადეკვატურად გაცნობიერებული. უფრო მეტიც, კონფერენცია თვლის, რომ აღებული სახელისუფლო კურსი მრავლად შეიცავს საქართველოში ბოლო წლებში დამკვიდრებული კოსმეტიკური ცვლილებების ელემენტებს, რაც საეჭვოს ხდის სასურველი შედეგების მიღწევის პერსპექტივას და ზრდის ნებატიური უკუშედეგების აღბათობას. ზემო აღნიშნიულიდან გამომდინარე კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია.

ამ დეკლარაციაზე ხელმომწერი საქართველოს არასამთავრობო (საზოგადოებრივი) ორგანიზაციები, ექსპერტები და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ვგრძნობთ რა პასუხისმგებლობას და ვეყრდნობით რა საკუთარ გამოცდილებასა და დაზუსტებულ ინფორმაციას:

**პოლიტიკური ასპექტები:**

გამოვთქვამთ შეშფოთებას იმ ფაქტის გამო, რომ საქართველოს ენერგეტიკის დარგის ფუნქციონირება და განვითარება ხორციელდება ერთიანი ხედის, პოლიტიკის, კონცეფციის და თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინების გარეშე;

გამოვთქვამთ უკმაყოფილებასა და აღშფოთებას იმის გამო, რომ ცალკეული სტრატეგიული და საკანონმდებლო აქტების შემუშავება, აგრეთვე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, ხორციელდება „გასაიდუმლოებულ“ ვითარებაში და ამ პროცესში მონაწილეობა არ არის გარანტირებული.

გამოვთქვამთ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექსტიც საჯარო გახდა მხოლოდ მისი პარაფირების შემდეგ, როცა უკვე შეუძლებელი იყო დოკუმენტში რაიმე ცვლილების შეტანა;

ვთანხმდებით რა იმაზე, რომ მდგრადი ენერგოუზრუნველყოფა ქვეყნის უსაფრთხოების ერთერთი უმთავრესი კომპონენტია, მიგვაჩინია, რომ საქართველოს ენერგოსისტემა მოითხოვს ფუნდამენტურ სისტემურ, მ.შ. რადიკალურ ინსტიტუციონალურ ცვლილებებს, რომელთა მიზანი უნდა იყოს მართვის საბჭოური მეთოდოლოგიის სრული დემონტაჟი და საკუთარი, ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის ჩამოყალიბება, დემოკრატიული, საჯარო და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღების გარანტიების შექმნა.

ვიზიარებეთ რა, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მერიეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ენერგეტიკის და გარემოსდაცვით სფეროებთან დაკავშირებულ დებულებებს, ვთვლით რომ უმოკლეს ვადაში უნდა დასრულდეს საკანონმდებლო ვაკუუმის პირობებში დარგის „დრეიფის“ ეტაპი და საქართველოს ენერგოსისტემის მართვა (განვითარება) უნდა განხორციელდეს ქვეყნის მდგრადი ეკონომიკის განვითარებასთან მჭიდრო კავშირში კარგად გათვლილი გრძელვადიანი პოლიტიკის, სამოქმედო გეგმისა და ამავე ხელშეკრულებით აქცენტირებული საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე ბუნებრივ გარემოზე ზიანის მიუყენებლად.

მოვითხოვთ, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია გათავისუფლდეს პოლიტიკური, მონოპოლიური და ყოველგვარი სხვა ზეწოლისაგან.

### ენერგეტიკის სფეროს მართვა, ენერგოუზრუნველყოფა:

**კატეგორიულად მოვითხოვთ,** რომ საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ შეზღუდის ერთი იურიდიული პირისათვის მინიჭებული ელექტროენერგიის გენერირებისა და დისტრიბუციის, აგრეთვე სხვა შეუთავსებელი უფლებამოსილებები და ეს განახორციელოს საკანონმდებლო დონეზე;

**უკანასკნელად გამოვთქვამთ** სახელმწიფო (საბიუჯეტო) სექტორის მიერ და ზოგადად მოხმარებული ენერგორესურსების აღრიცხვის, აგრეთვე სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალეობის საქმეში არსებული ბიუროკრატიული ბარიერების გამო;

**მიუღებლად ვთვლით** სახელისუფლო სტრუქტურების მხრიდან ენერგოფექტურობის, როგორც უმნიშვნელოვანესი ენერგეტიკული რესურსის, იგნორირების ფაქტს;

**არ ვეთანხმებით** სამთავრობო არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარებისა და ნაკლებად ენერგოტევადი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით დამავალდებულებების საკანონმდებლო ნორმები ზედმეტად დაამძიმებს მოქალაქეების სოციალურ და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას;

**მიგვაჩინია,** რომ ენერგიის რაციონალური მოხმარება და ენერგოეფექტურობა პრიორიტეტული უნდა გახდეს, ენერგიის გენერირება-მოხმარების ყველა მიმართულებითა და ყველა ეტაპზე;

**მოვითხოვთ,** რომ უმოკლეს ვადაში მიღებული იქნას ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა ყველა სფეროსათვის (ტრანსპორტი, შენობები, ტექნოლოგიური პროცესები და სხვა);

**ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებულ ახალ საკანონმდებლო ბაზაში** ინტენსიურად და ეფექტურად იქნეს დანერგილი ადმინისტრირების, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა მექანიზმები ენერგოეფექტურობის დონის მუდმივად მზარდი დინამიური პროცესის ხელშესაწყობად;



## არატრადიციული განახლებადი ენერგიაზე ეფექტურად მოხარება

გამოთვევამთ შეშფოთებას ზოგიერთი განახლებადი (მზე, ქარი, გეოთერმული და სხვა) ენერგიების მიმართ ტრადიციის უცვლელად გაგრძელების გამო და მოვითხოვთ, რომ 2015 წლიდან საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტულად გამოაცხადოს მზის, ქარის, გეოთერმული ენერგიების ეფექტურად მოხმარება, შეიმუშაოს სპეციალური პროგრამა და ეს პროგრამა ყოველწლიურად უზრუნველყოს სათანადო ფინანსური რესურსებით. ვერ ვურიგდებით საქართველოს ტყის რესურსის გადაჭარბებით ინტენსიურად მოხმარების ფაქტს და საქართველოს მთავრობისაგან მოვითხოვთ:


- დაუყოვნებლივ გაატაროს ისეთი მრავალმხრივი რეფორმები, რომ სიღარიბის, უმუშევრობის, გათბობის და სხვა სოციალური პრომლემების უმტკივნეულოდ მოგვარების „გზები არ გადიოდეს ტყის მასივებზე“;
- დააჩქაროს და 2015 წლს დაასრულოს საქართველოს რეგიონებში სოფლების გაზიფიკირების პროცესი;
- შემუშავდეს უკვე გაჩეხილი და დეგრადირებული ტყეების აღდგენის სახელმწიფო პროგრამა და გამოირიცხოს ამ პროცესის კამპანიურობა.

## ენერგეტიკის სფეროს სამაცნერო და საკალიო პოტენციალი

ბოლო წლებში სრულიად განადგურდა ან დეგრადირდა ენერგეტიკის სფეროში მომუშავე ინსტიტუციები, მ.შ. კადრების აღზრდის მიმართულებითაც, რამაც განუზომელი ნეგატიური გავლენა იქონია დარგში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების წარმოჩინება-დანერგვის კუთხით.

აღნიშნულის გამო გამოვთქვამთ შეშფოთებას და მიგვაჩნია, რომ ენერგეტიკის სფეროს სამეცნიერო პოტენციალის ამაღლება და კადრების სათანადოდ მომზადება უნდა იყოს დარგის განვითარების პოლიტიკის საკვანძო საკითხი.

1. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო;
2. საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია;
3. სოფლად თემთა განვითარების სააგენტო;
4. ექსპერტთა კავშირი მდგრადი ენერგია და გარემო;
5. საქართველოს კოლოგ-მიწათმოქმედთა ასოციაცია (სემა);
6. საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრი;
7. გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ცენტრი;
8. გარემოსდაცვითი კვლევების საერთაშორისო ცენტრი;
9. იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაცია „ასა“;
10. საქართველოს საერთაშორისო განვითარების სააგენტო;
11. ბაადურ ჩხაიძე სტუ პროფესორი.



## ენერგოფული და ენერგოდაზოგვა პროცესების შესახებ

გაერთიანებული ერების გენარალურმა ასაბლეამ 2014-2020 წლები გამოცხადა საერთაშორისო ათწლეულად - მდგრადი ენერგეტიკა ყველასათვის, რითაც ხაზი გაუსვა კალოგიურად მდგრადი ენერგოდამზოგი სფეროს მნიშვნელობას, როგორც სიღარიბის დაძლევის და საერთოდ განვითარების დონის ამაღლებისათვის. 2015 წლიდან 2030 წლამდე მდგრადი ენერგეტიკის ძირითადი ამოცანაა ენერგეფექტურობის დონის გაორმაგება. ინვესტირება ენერგოფექტურობაში ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას და ქმნის ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი ენერგეტიკული რესურსები.

### აღმასრულებელი ხალისაფლაბის დამოადგენლება ენერგოფული რესურსების მიმართ

ენერგო-ეფექტურობისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება უფრო ნებატიურია, ვიდრე პოზიტიური. სახელმწიფო სტუქტურების მოხელეები ცდილობენ თავიდან აიცილონ ენერგოეფექტურობისა და ენერგოდაზოგვის ხელშეწყობისა და განხორციელების ვალდებულებები. ზოგ შემთხვევაში ხდება გარკვეული ღონისძიებების გატარება თუმცა ხშირად ისინი ატარებენ მხოლოდ საჩვენებელ ხასიათს. ასეთად შეიძლება განვიხილოთ მერების შეთანხმება, რომელზეც საქათველოში უკვე არის რვა ხელმომწერი ქალაქი-თბილისი(2010), ბათუმი (2011), რუსთავი (2011), ქუთაისი (2011), გორი (2012), ფოთი (2012), ზუგდიდი (2013) და თელავი (2014); მათ შორის ოთხ ქალაქს აქვს სამოქმედო გეგმა (SEAP) - თბილისი, ბათუმი, გორი, რუსთავი. უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმა არსებობს ამ ქალაქების ხელმძღვანელი პირები არ არიან დაინტერესებულები, ან არ ფლობენ შესაბამის კომპანიების განახორციელონ ეს სამოქმედო გეგმები.

ენერგოდაზოგვა წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეზერვს. ამ რეზერვის სარეალიზაციოდ საჭიროა მუშაობა წარიმართოს რამდენიმე ძირითადი მიმართულებით, ესენია:

ენერგოფექტურობის ამაღლება კარგადაა შესწავლილი და მისი დანერგვა მიღწევადია და განხორციელება მთლინად გამართლებულია. მთავრობებს აქვთ ამპრობლემების გადაწყვეტის საშუალება თუ ისინი გაატარებენ გონივრულ, თანამიმდევრულ და გააზრებულ ეკონომიკურ, ენერგეტიკულ და კალოგიურ პოლიტიკას.

**დეკლარილებულია, რომ საქართველო ისწრაფვის გახდეს ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყანა და მოახდინოს ევროპასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია.**

- არსებულ შენობათა შემომზღვდი კონსტრუქციების თბოიზოლაცია და მშენებარე შენობებისათვის ნორმატივების შექმნა;
- ენერგომომხმარებელი სისტემების მოდერნიზაცია;
- ოპტიმალური სითბოსა და განათების წყაროს შერჩევა.

ენერგოფექტურობისა და ენერგოდაზოგვისადმი სახელმწიფოს მიდგომა ყოველთვის თვალსაჩინოდ აისახება არქიტექტურაში. ჩვენი ქვეყანაც არ წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს და ბოლო წლების არქიტექტურა (რომლითაც ხშირად იწონებდნენ თავს ჩვენი პოლიტიკოსები) არის თვალსაჩინო მაგალითი ფინანსური სახს-





რების უყაირათო ხარჯვისა და ქვეყნის იმიჯს აყენებს სერიოზულ დარტყმას. ქვემოთ მოყვანილია რამოდენიმე მაგალითი.

თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას მოხდეს ნებისმიერი იერსახის შენობის აშენება, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა ყველა სახის შენობისათვის განსაზღვრულია სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებით. ჩვენს ქვეყანაში ეს მოთხოვნები არ არსებობს. შესაბამისად ეს შენობები თავისი კლიმატური



პირობებით ემსგავსება ქვემოთ მოყვანილ სათბურებს - მაღალი ტენიანობით და მაღალი ტემპერატურით. გარდა ამისა ძვირი ჯდება ზამთარში სითბოს, ხოლო ზაფხულში სიგრილის შენარჩუნება. შენობის შემომზღვდი შემინული კონსტრუქციები ძალიან დაბალი თერმული წინაღობით ხასიათდებიან, რადგან ხშირ შემთხვევაში ამისათვის გამოყენებულია ჩვეულებრივი მიმაპაკეტები.

საქართველოში ჩატარებული ერთეული ენერგოაუდიტის შედეგები გვაძლევს წარმოდგენას თუ რა რაოდენობის ენერგია შეიძლება დაიზოგოს სახელმწიფო საოფიციე შენობებში ეს რიცხვი მოხმარებული ენერგიის 50%-60%-ია, თუმცა არანაირი ღონისძიება ამ მიმართებით არ განხორციელებულა, სახელმწიფო ნების არარსებობის გამო. საინტერესოა იმ გამჭვირველე შენობების ენერგოაუდიტის ჩატარება, რომლებიც ინტენსიურად შენდებოდა ბოლო ხანებში. არის მეორე პრობლემა - უმრავლეს შემთხვევაში ასეთ შენობებში არ არსებობს ცენტრალური კონდიცირება, ანუ არ ხდება ჰაერცვლა, რაც თავის მხრივ იწვევს ადამიანთა შრომის ნაყოფიერების მკვეთრ გაუარესებას. ასევე პრობლემას წარმოადგენს მუნჯუციპალური და სახელმწიფო მართვის დაწესებულებებში ზამთრის პერიოდის ტემპერატურული რეჟიმი.

**ნანი მეფარიშვილი  
ასოცირებული პროფესორი**



## ინიციატივა და ინიტიუსაფრთხოება

ცნობილია, რომ ენერგიით უზრუნველყოფა წარმოადგენს საზოგადოების არსებობის და განვითარების ერთ-ერთ ძირითად აუცილებელ პირობას. ენერგიით უზრუნველყოფა არ ნიშნავს მხოლოდ ელექტროენერგიით უზრუნველყოფას. საზოგადოება თავის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარად იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებებს ენერგიაზე, დაწყებული შეშიდან და ცხოველების ფიზიკური ძალიდან დამთავრებული ატომური ენერგიით. მას შემდეგ რაც ადამიანმა მიაგნო წიალისეულ სათბობს (ქვანახშირი, ნავთობი და ბუნებრივი აირი) და აითვისა მათი გამოყენების ტექნოლოგიები, მკვეთრად გაიზარდა ტექნიკის განვითარების ტემპები, რომელიც თავის მხრივ იწვევს ენერგიაზე და შესაბამისად სათბობზე მოთხოვნილების და მისი მოპოვების ზრდას. ენერგიის მოხმარებამ მსოფლიოში 2010 წელს მიაღწია 13 მლრდ ტ.ნ.ე-ს ანუ 150 000 მლრდ კვტსთ-ს. ელექტროენერგიის წილი მოხმარებულ ენერგიაში შეადგენს 15%-ს. ენერგეტიკის აღნიშვნული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ ძირითად გზას წარმოადგენს ენერგიის განახლებადი წყაროების თანდათანობით და ფართო მასშტაბებით ათვისება.

ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული ქვეყნების ენერგოუსაფრთხოებისთვის. ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების დონის ძირითადი ინდიკატორებია: არსებული ენერგორესურსების პოტენციალი და მისი გამოყენების ეფექტურობა და დონე; იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების დონე და მისი იმპორტის საფრთხეები; სახელმწიფო რეგულირების სტრუქტურა და სამეცნიერო ტექნიკური პოტენციალი. ამ მხრივ საქართველო არც თუ სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება. საქართველოს ორგანული ენერგორესურსების შიდა სამრეწველო მარაგების პოტენციალი (გარდა ქვანახშირისა) საკმაოდ მწირია და მოპოვებული პროდუქციის მოცულობა კი უმნიშვნელო. უახლოეს მო-

მავალში მათი მოპოვების ზრდა ნაკლებად სავარაუდოა. საქართველოს მოსახლეობის ენერგიით უზრუნველყოფაში ელექტროენერგიის წილი შეადგენს დაახლოებით 20%-ს. 30%-ის უზრუნველყოფა ხდება იმპორტირებული ბუნებრივი აირით, კიდევ 30%-ის შეშით, დანარჩენი კი ისევ იმპორტირებული საწვავით და უმნიშვნელო რაოდენობა ადგილობრივი ქვანახშირით.

2013 წელს საქართველოში იმპორტირებული იქნა 1,9 მლრდ კუბ.მ ბუნებრივი აირი (300 მლნ ლარი) და დაახლოებით 740 ათასი ტონა სატრანსპორტო საწვავი. ამრიგად, საქართველოს ენერგოუზრუნველყოფა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ენერგორესურსების იმპორტზე. ეს გარემოება იმ გარეშე საფრთხეების პირობებში, რომელიც არსებობს რეგიონში მნიშვნელოვნად ამცირებს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების დონეს. რაც შეეხება შეშას (მოხმარება დაახლოებით 5-6 მლნ კუბ.მ), მისი მოპოვების დონე დაახლოებით 7-ჯერ აღემატება არსებულ პოტენციალს. შეშის ასეთი ტემპებით მოხმარების პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ შეშის წვის დროს გამოიყოფა დიდი რაოდენობით ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებები (მეთანოლი, ძმარმუავა, აცეტონი და სხვა) სულ მოკლე დროში საქართველოში მივიღებთ ეკოლოგიურ კატასტროფას.

მსოფლიოში მოპოვებული ენერგორესურსების დაახლოებით 40-50% იხარჯება საყოფაცხოვრებო პირობებში და სხვადასხვა ექნოლოგიურ პროცესებში 50-15°C ტემპერატურის მისაღწევად. ეს არის ის სფერო სადაც პირველ რიგში შეიძლება ენერგიის განახლებადმა წყაროებმა ჩაანაცვლოს სხვა ტრადიციული წყაროები. მსოფლიო ენერგეტიკაში არსებული პრობლემების ანალიზის შედეგად ექსპერტები და მრავალი ქვეყნის მთავრობები მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ ენერგეტიკის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია ენერგიის განახლებადი წყაროების ფართო მასშტაბებით ათვისება.

**ენერგიის განახლებადი ფინანსურის ენერგეტიკული პოტენციალი  
საქართველოში**

**ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი.** საქართველოში ეგწ-ს კატეგორიაში განი-ხილება მცირე ჰესები, რომელთა სიმძლა-ვრე არ აჭარბებს 13 მგვტ-ს. მრავალი კვ-ლევის შედეგად დადგენილია, რომ მცირე მდინარეების თეორიული ენერგეტიკული პოტენციალი შეადგენს 40 მლრდ კვტს/წელი, ტექნიკური კი  $\approx$  20 მლრდ კვტს/წელი. დღევანდელ პირობებში, ეკონომიკური და რეალურად მიღწევადი პოტენციალი კი სპეციალისტების შეფასებით შეადგენს  $\approx$  5 მლრდ კვტს/წელი. აქედან გამომდინარე, ეგწ-ს ათვისების რეალური გეგმის შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ეს ციფრი. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჰიდროელექტროსადგურების მაქსიმალური გამომუშავება მოდის გაზაფხულ-ზაფხულ-ზე, როდესაც საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ისედაც არსებობს ჭარბი ენერგია.

მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ, როგორც განვითარებულმა ისე განვითარებადმა შეიმუშავა პროგრამები და ახორციელებს ენერგიის განახლებადი წყაროების თანდათანობით თვისებას.

**ქარის ენერგიის პოტენციალი.** მრავალი წლის მონაცემების თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე ქარის თეორიული პოტენციალი შეადგენს 1300 მლრდ კვტს/წელი. ქარის ტექნიკური და ეკონომიკური ენერგეტიკული პოტენციალის დადგენისთვის ჩატარდა კვლევები (პროფ. გ.სვანიძის მიერ). გამოვლენილი იქნა ქარის ენერგე-



ტიკის განვითარებისთვის პერსპექტიული უბნები. ამ კვლევების შედეგად დადგენილია ქარის ენერგეტიკული პოტენციალი, რომელიც შეადგენს დაახლოებით 5 მლრდ კვტს/წელი.

**ბიომასის ენერგეტიკული პოტენციალი.** ბიომასის ტერმინში იგულისხმება დედამიწაზე არსებული მცენარეული საფარი და ცოცხალი ორგანიზმები. ბიომასას პირობითად ყოფენ პირველად და მეორად ბიომასად. პირველადში იგულისხმება მცენარეები, ცხოველები და მიკროორგანიზმები, ხოლო მეორადში პირველადი ბიომასის გადამუშავების და მოქმედების შედეგად მიღებული ნარჩენები.

მცენარეული ბიომასის სახეებია: შეშა; სატყეო-მეურნეობის ექსპლოატაციის ნარჩენები; ხე-ტყის ინდუსტრიის ნარჩენები; აგრომრეწველობის ნარჩენები; ენერგეტიკული პლანტაციების მოსავალი.



ცხოველური ბიომასის სახეებია: მეცხოველეობის და მეფრინველეობის ნარჩენები; გამწმენდი მოწყობილობების ნარჩენები; ქალაქების და დასახლებული პუნქტების მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

საქართველოს ბიომასის და ბიომასის ნარჩენების ენერგეტიკული პოტენციალის სრულყოფილი შეფასება არ ჩატარებულა. ერთერთ პერსპექტიულ მიმართულებად ითვლება ზედმეტად ტენიან და ნახევრად დაჭაობებულ ტერიტორიებზე მრავალწლიანი კულტურის სიღფიას პლანტაციების გაშენება. დასავლეთ საქართველოში ნახევრად დაჭაობებული ტერიტორიების

ფართი შეადგენს რამდენიმე ათეულ ათასს ჰექტარს. სილფიას მოსავალი 1 ჰექტარზე შეადგენს დაახლოებით 20 ტონა მშრალ მასას, რომლის ენერგეტიკული პოტენციალი შეადგენს 68 000 კვტსთ. სკეციალისტების გათვლებით სილფიადან მიღებული ბიო-დიზელის ფასი არ გადააჭარბებს 1 ლარს.

**მზის ენერგიის პოტენციალი.** მზის საშუალო წლიური რადიაციის სიდიდედ საქართველოში მიღებულია 1550 კვტსთ/მ<sup>2</sup>წელი. აქედან გამომდინარე, მზის ენერგიის თეორიული პოტენციალი წელიწადში საქართველოს ტერიტორიაზე შეადგენს დაახლოებით 1014 კვტსთ-ს (100 000 მლრდ კვტსთ). თბილისის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მოსული მზის ენერგია შეადგენს 700 მლრდ კვტსთ-ს, ხოლო ქუთაისის და რუსთავის ტერიტორიებზე 108 და 93 მლრდ



კვტსთ-ს შესაბამისად. ბუნებრივია, რომ ამ პოტენციალის (100 000 მლრდ კვტსთ) ძალიან მცირე ნაწილი შეიძლება გამოყენებული იქნას თბური თუ ელექტროენერგიის მისაღებად.

ცნობილია, რომ ბოლო 10 წელიწადში, თურქეთში მზის ენერგიის გამოყენების დონემ მიაღწია მთლიანად გამოყენებული ენერგიის 0,4%-ს და ცხადია, რომ ეს არ არის ზღვარი. თუ ამ ციფრს გამოვიყენებთ საქართველოსთვის მიღწევადად, მივიღებთ რომ უახლოეს წლებში მხოლოდ ცხელწყალმომარაგების სფეროში ყოველწლიურად დაიზოგება 13 ათასი ტ.ნ.ე-ის ტოლი ენერგია (151,2 მლნ კვტსთ ანუ 2,8 მლნ ლარის ბუნებრივი აირი).

**გეოთერმილი ენერგიის პოტენციალი.** საქართველოს გეოთერმული რესურსების ტემპერატურა არ აღემატება 110°C. საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია 250-მდე ბუნებრივი და ხელოვნური (ჭაბურღილი) წყარო, რომელთა ჯამური დებიტი შეადგენს 60 მლნ კუბ.მ-ს წელიწადში. სხვადასხვა მონაცემებით საქართველოს გეოთერმული რესურსების ტექნიკური პოტენციალი შეადგენს დაახლოებით 1,3 მლრდ კვტსთ-ს. ამ პოტენციალის 80% თავმოყრილია დასავლეთ საქართველოში.

**ბაადურ ჩხაიძე  
პროფესორი**

### ენერგოზოგადობის და განვითარების თანამორბობა

დარგების, სფეროებისა და მიმართულებების მიხედვით გენდერული თანასწორობის დაცვის მდგომარეობის თვალსაზრისით, გამონაკლისს არ წარმოადგენს ისეთი დარგები, როგორიცაა მოსახლეობის ენერგიითა და უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, ენერგომატარებლები და სასმელი წყალი ის სტრატეგიული რესურსებია, რომელთა მიწოდება განსაზღვრავს ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონეს და თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას.

უფრო მეტიც, ენერგორესურსები და წყალი თავიანთ სტრატეგიულ ფუნქციას ინარჩუნებენ მათი მოხმარების მიხედვით, თუმცა არც ერთსა და არც მეორე სტრატეგიულ რესურსს საქართველოს კანონმდებლობაში არა აქვს დათმობილი სათანადო ყურადღება.

ენერგორესურსებითა და სუფთა სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების მდგომარეობის შეფასებას, სუსტ საკანონმდებლო ბაზასთან ერთად, ართულებს სათანადო ინფორმაციისა და სტატისტიკური პარამეტრების მოპოვების საქმეში არსებუ-


ლი ბიუროკრატიული და ხელოვნური ბარიერები, რომლებიც შექმნილია როგორც სახელმწიფო, ასევე ამ დარგებში ფუნქციონირებად კომერციულ სტრუქტურებში.

არსებული სიტუაცია ბევრად ართულებს საზოგადოების მონაწილეობას ენერგიისა და წყლის რესურსების მართვაში, რაც წარმოშობს ბევრ გაუგებრობასა და დაძაბულობას, პრობლემების არასრულფასოვნად წარმოჩნდებასა და ხელს უწყობს საზოგადოების წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულების დაქვეითებას.

ქვეყანაში არ არსებობს რაიმე მარეგულირებელი აქტი არც ენერგოეფექტურობის სფეროში და არც ენერგიის დაზოგვისა და მომჭირნეობით ხარჯვის სტიმულირების მიზნით.

მსგავსი დამოკიდებულების გამო, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ფონზე, საქართველოში არსებული სიტუაცია გამოიყურება არასახარბიელოდ:

- საქართველო ერთ სულ მოსახლეზე ელენერგიის მოხმარების დონით, ყოფილ საბჭოთა კავშირს ჩამორჩება 2,3-ჯერ, არაბეთის ნახევარ კუნძულს 2,8-ჯერ, დასავლეთ ევროპას 3,68-ჯერ, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას 5,7-ჯერ.
- 6-ჯერ ვუსწრებთ თანამედროვე ევროპულ ნორმას 1 კვ.მ. ფართის ენერგოუზრუნველყოფის თვალსაზრისით;
- ჩვენს მიერ, საყოფაცხოვრებო პირობებში მოხმარებული ენერგიის სტრუქტურული სურათი რადიკალურად განსხვავდება მთელი ცივილური მსოფლიოს მიერ მოხმარებული ენერგიის მსგავსი სტრუქტურული სურათისაგან;
- და სხვა.



სამეწარმეო პროცესში და ნებისმიერი სხვა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ენერგორესურსებისა და წყლის მიწოდებასა და მოთხოვნილებას შორის დისბალანსი თითქმის თანაბრად უარყოფითად აისახება გენდერულ ჭრილში.

მაგრამ, საყოფაცხოვრებო სფეროში, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ასეთი დისბალანსი მიზეზი ხდება გენდერულ ჭრილში კიდევ უფრო მეტი დისბალანსისა, რაც პირდაპირ აისახება ქალთა უფლებების უხეშ დარღვევასა და მათი შრომის პირობების გაუარესებაზე.

გარემო და საყოფაცხოვრებო პირობებისადმი ქალის უფლებების დაცვის ასეთი მგრძნობიარე დამოკიდებულება გამომდინარეობს იმ რეალობიდან, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის (რელიგიის, ეთნოსის, სოციალური ფენის მიუხედავად) ცხოვრების წესის მიხედვით ძირითადად ქალს აკისრია საყოფაცხოვრებო საქმიანობის (სანიტარია, ჰიგიენა, კვება და სხვა) წარმართვა (შესრულება, რეალიზება) და ხშირ შემთხვევაში საოჯახო მეურნეობის წარმართვაც კი.

არსებული რეალობიდან და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სოფლის საშუალო ოჯახი თავს უფლებას აძლევს თვეში მოიხმაროს საშუალოდ 150-200 კვტ\*სთ, ანუ დღეში საშუალოდ 5-6 კვტ\*სთ ელექტრონერგია.

შედარებისათვის, 5 კვტ\*სთ ელექტრონერგია, საუკეთესო ელექტროგამათბობლის შემთხვევაშიც კი საკმარისი იქნებოდა მხოლოდ 70 ლიტრი წყლის გასაცხელებლად 70-75 გრადუსამდე.

- საოჯახო ელექტრო მოწყობილობები ბი 8%
- ცხელი წყალი 11%

ნათელია, რომ მოხმარებული მთელი ენერგიის წყლის გასაცელებლად კონცენტრირების შემთხვევაშიც კი, ასეთი რაოდენობის ცხელი წყალი საკმარისიც არ არის 4 სულიანი ოჯახის ცხელ წყალზე მოთხოვნილების დასაკამაყოფილებლად.

„გამოსავალის“ სახით – სოფლად მცხოვრები ოჯახების უმრავლესობა ელექტროენერგიას საერთოდ არ მოიხმარს წყლის გასაცხელებლად.

სოფლის ოჯახში ელექტროენერგია მოიხმარება ელექტრომოწყობილობების (ისიც შეზღუდული რაოდენობით) გამოყენების მიზნით (რადიო, ტელევიზორი, კომპიუტერი და სხვა) და ასევე შეზღუდულად, განათებისათვის.

ანუ, საქართველოს სოფლებში ელექტროენერგიის მოხმარება მკაცრად შეზღუდულია და მოიხმარება მხოლოდ კონკრეტული დანიშნულებით და აუცილებლობის შემთხვევებში. ხშირად სოფლად მცხოვრები ქალბატონები თბილი წყლის მისაღებად იყენებენ შეშას რაც კიდევ უფრო ამძიმებს მათ შრომას და ართმევს დიდ დროს.

ელექტროენერგიის პარალელურად, საქართველოს სოფლებში მოიხმარება ბუნებრივი გაზი, თხევადი გაზი, შეშა და სხვა ბიოსაწვავი, ძალიან იშვიათად ნახშირი და ნავთობპროდუქტი.

ბოლო წლების სახელმწიფოს პრეროგატივას წარმოადგენდა საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტამდე ბუნებრივი გაზის მიყვანას, მაგრამ ეს გეგმა არ განხორციელებულა, გაზიფიცირებულია მხოლოდ გარკვეული ნაწილი.

ბოლო წლებში ასევე მრავალი ექსპერიმენტი განხორციელდა მოსახლეობაზე საწვავი შეშის თანაბრად და სამართლიანად გადანაწილების მიზნით, მაგრამ არცერთმა ამ მცდელობამ არ მოიტანა სასურველი შედეგი და შეშაზე მოთხოვნილების სათანადო რესურსის არ არსებობის გამო, უდიდესი ეკოლოგიური ზიანი ადგება საქართველოს ისედაც დეგრადირებულ ტყეებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ენერგობალანსში შეშის წილი 65%-ზე მეტია და ეს რესურსი ძირითადად ხმარდება სოფლის მოსახლეობას, მაინც ვერ ხერხდება სოფლის მცხოვრებთა ენერგობალან-

სის შევსება. რაც უარყოფითად აისახება სოციალურ მდგომარეობაზე და დამატებით საზრუნავს უქმნის როგორც მამაკაცს, ასევე ქალს.

მამაკაცი, როგორც წესი, ზრუნავს ენერგობალანსის შესავსებად მისთვის ხელმისაწვდომი ენერგომატარებლების ხარჯზე, რაც მოითხოვს დამატებით საოჯახო ფინანსებს და თვით მამაკაცისაგან დამატებით ფიზიკურ შრომას.

ქალი კი, საკუთარი ენერგიის ხარჯზე აბალანსებს და კომპენსაციას უკეთებს ენერგობალანსის დეფიციტის პირობებში წარმოშობილ თუ გაღრმავებულ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა:

- უარესდება ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და შესაბამისად იზრდება დიასახლისის მზრუნველობის სფერო;
- შეუძლებელი ხდება ოჯახში სანიტარიული და პიგინური მდგომარეობის მოწესრიგება;
- რთულდება საკვების მომზადება;
- რთულდება რეცხვის, დალაგებისა და დასუფთავების პროცედურები;
- ზოგადად ყოფა მიმდინარეობს არაკომფორტულ გარემოში, რაც თავისთავად ხდება მიზეზი მრავალი ნეგატიური ემოციისა;
- და სხვა.

ასახული მდგომარეობის შესაბამისი სოციალური და გენდერული ფონის მიუხედავად, სტიმულირებული და ხელშეწყობილი არ არის ინდივიდუალურ დონეზე მაინც ალტერნატიული განახლებადი წყაროებიდან ენერგიის გენერირება, თუნდაც მხოლოდ ცხელი წყლის მიღების მიზნით მზის ენერგიის გამოყენება და სახელისუფლო და სამთავრობო სტრუქტურები პასუხს არ ცემენ კითხვას, თუ რატომ არ გამოიყენება საქართველოს კლიმატიდან გამომდინარე მზის ენერგიის უდიდესი პოტენციალი. საქართველოში მზიანი დღეების რაოდენობა მერყეობს 250-დან 280-მდე, მზის წლიური ჯამური ენერგია რეგიონების მიხედვით 1 კვ.მ. ფართობზე მერყეობს 1250-1800 კვტ.სთ დიაპაზონში, ხოლო საშუალო ენერგია, იგივე 1 კვ.მ. ფართობზე უტოლდება 4,2 კვტ.სთ დღეში.

## ეროვნული მისაღვანი შერჩევების პროცესი (NAMA)

1979 წელს კლიმატის ცვილებისადმი მიძღვნილ პირველ მსოფლიო კონფერენციაზე აღიარეს, რომ კლიმატის ცვლილება წარმოადგენს საფრთხეს კაცობრიობისთვის და საჭიროა ეფექტური ღონისძიებების გატარება, მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილებლად.

გლობალური დათბობა ეს არის ატმოსფეროში „სათბურის გაზების“ ემისიების (გაფრქვევის) და შესაბამისად „სათბურის გაზების“ კონცენტრაციების ზრდა.

გლობალური დათბობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს, დედამიწაზე ჰაერის მიწისპირა ტემპერატურის თანმიმდევრული ზრდა, რომელიც უკავშირდება ადამიანის სამეურნეო საქმიანობას, რომელიც განსაკუთრებით გააქტიურდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ძირითადად კი ეს პრობლემა უკავშირდება ენერგეტიკის სფეროს (დაახ. 65%) და ზოგადად ადამიანის მზარდ მოთხოვნილებას ენერგიაზე. ამდენად, კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესში უდიდესი როლი აკისრია ენერგიების სწორ და რაციონალურ გამოყენებას.

გლობალური დათბობის შესაჩერებლად საჭიროა განხორციელდეს სათბურის გაზების შემცირებისა (შერბილება) და ადაპტაციის (შეგუება) ზომები.

კლიმატის ცვლილების პროცესების შერბილებისა და ადაპტაციის მიმართულებით სწორი პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელია შესაბამისი ეროვნული მოქმედებათა გეგმების შემუშავება, რომელიც შეესაბამება ქვეყნის შესაძლებლობებსა და ითვალისწინებს ადგილობრივ თავისებურებებს. ამასთან დაკავშირებით კლიმატის ცვლილების ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული იქნა სპეციალური მექანიზმი ე.წ. NAMA (Nationally Appropriate Mitigation Actions) ქვეყნებისათვის მიზანშეწონილი კლიმატის შემარბილებელი ქმედებები-ემშქ, რომელიც მიზანად ისახავს განვითარებადი ქვეყნების დამატებას განავითარონ კლიმატის ცვლილების შემარბილებელი სხვადასხვა მასშტაბური და მაღალეფექტური პროექტები, რომელთა შედეგებიც იქნება

გაზომვადი, ანგარიშებადი და დამოწმებული.

ემშქ-ს (NAMA) შექმნის მთავარი მიზანია, დახმარება აღმოუჩინოს ისეთ განვითარებად ქვეყნებს, რომლებით გამოირჩევიან განსაკუთრებული აქტივობით კლიმატის ცვლილების შერბილების საკითხებში და ცდილობენ მოკლე ვადაში განახორციელონ მასშტაბური და მაღალეფექტური ინიციატივები.

ემშქ (NAMA-ს) ინსტრუმენტის შექმნის ინიციატივა ეკუთვნის გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გარემოს დაცვის, ბუნების შენარჩუნებისა და ბირთვული უსაფრთხოების სამინისტროს (BMU) და ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ენერგიისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტს. შეთანხმება აღნიშნულ საკითხზე, შედგა 2012 წლის 6 დეკემბერს, გაეროს კლიმატის ჩარჩო კონვენციის მხარეთა შეხვედრის კონფერენციაზე დოკამი - ყატარის სამეფოში. ამ ქვეყნებმა ემშქ (NAMA)-ს ფონდში იმთავითვე განათავსეს 55 მილიონი ფუნტი სტერლინგის ოდენობის თანხა (დაახ. 70,000,000.00 ევრო).

კოპენჰაგენსა და კანკუნში, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციების დროს, კონვენციის მხარეები შეთანხმდნენ, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა 2013 წლიდან 2020 წლამდე ერთობლივად ყოველწლიურად, მოახდინონ 100 მილიარდი აშშ დოლარის მობილიზება და თანხები მიმართონ განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებისაკენ. ფინანსების აკუმულირება მოხდება სხვადასხვა წყაროებიდან.

**ეროვნულად მისაღვანი შერბილების ქმედებები** საშუალებას იძლევა განვითარდეს კომპლექსური მიდგომის პროექტები და იგი უზრუნველყოფს, როგორც ტექნიკური დახმარების გაწევას, ასევე შესაძლებლობების გასაძლიერებელი საქმიანობების დაფინანსებას (საგრანტო პროექტების სახით). დაფინანსების მოცულობა განისაზღვრება ინდივიდუალურად ქვეყნის საჭიროებისამებრ.

## მართვის სტრუქტურა

როგორც ემშქ-ს (NAMA) ინიციატორები, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა გარემოს დაცვის, ბუნების შენარჩუნებისა და ბირთვული უსაფრთხოების სამინისტრო (BMU) და ასევე ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ენერგიისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი წარმოადგენენ ძირითად გადაწყვეტილების მიმღებ საბჭოებს -- სპეციალურად შექმნილი ორგანოს - ტექნიკური დახმარების ჯგუფის (TSU) მეშვეობით ან მათზე დაქვემდებარებული სააგენტოების დახმარებით, ისინი განიხილავენ საპროექტო წინადადებებს და გამოიტანენ გადაწყვეტილებას.

### პროექტების შერჩევა

ემშქ-ს (NAMA) ფონდი დააფინანსებს ყველაზე ამბიციურ და კომპლექსური მიდგომის მქონე პროექტებს. ამისათვის, შერჩევის პროცედურა არის საკმაოდ გამჭვირვალე და დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული. აუცილებელია, რომ NAMA-ს საპროექტო წინადადება მოწონებული და შეთანხმებული იქნეს მთავრობასთან და მასში გათვალისწინებული იქნას კონკრეტული ქვეყნის რეალური საჭიროები რათა მიღწეული იქნას მაქსიმალური ეფექტი.

## პრენასი საფთა რაგიონი

ა/შ 28 ნოემბერს, სასტუმრო „რედი-სონში“ გაიმართა პროექტი „დავასუფთაოთ საქართველოს“ ფარგლებში ჩატარებულ კონკურსში „სუფთა რეგიონი“ გამარჯვებულთა დაჯილდოება.

რეგიონებში რვა თვის განმავლობაში ჩატარებული დასუფთავების აქციების შედეგების შეჯამებით გამოვლინდა 2014 წლის გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში:

- „სუფთა რეგიონი“ გაარჯვებული – სამეცნიერო-ზემო სვანეთის რეგიონი;
- „სუფთა მუნიციპალიტეტი“ გამარჯვებული – ახმეტის მუნიციპალიტეტი;
- „სუფთა სოფელი“ გამარჯვებული სოფ. ჭითაწყარი (ზუგდიდი მუნიციპალიტეტი);



გამარჯვებულებს სპეციალური სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ხელმძღვანელმა ევა სმედბერგმა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ბატონმა ელგუჯა ხოკრიშვილმა.

კონკურსი „სუფთა რეგიონი“ ჩაატარა, შედეგები შეაჯამა და დაჯილდოების ღონისძიებას ორგანიზება გაუკეთა პროექტის – „დავასუფთაოთ საქართველო“ განმახორციელებელმა არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმმა („საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრებისა და საქართველო, მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოსედვა/ecovision“ და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“). პროექტი ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.



## საქართველოს მფლონია მოძრაობა 25 წლის განდღა

მიმდინარე წლის 9 დეკემბერს, საქართველოს მწვანეთა მოძრაობას დაარსებიდან 25 წელი შეუსრულდა. ამ დღესთან დაკავშირებით მწვანეთა მოძრაობის წევრება გამართეს საიუბილეო შეხვედრა მწვრალთა სახლში.

საიუბილეო შეხვედრა წამოდგენდა ერთგვარ შემაჯამებელ ღონისძიებას, სადაც პრეზენტაციების საჩით წარმოდგენილი იყო საქართველოს მწვანეთა მოძრაობის მერ, 25 წლის მანძილზე განხორ-



ციელებული გარემოსდაცვითი საქმიანობები. მოწყო ფოტო გამოფენა. შეხვერას ესწრებოდნენ ის ადამიანები რომლებსაც სხვადასხა წლებში შეხება ქონდა მწვანეთა მოძრაობასთან და იყვნენ ორგანიზაციის წევრები. ღონისძიებაზე სტუმრებმა იხილეს ისტორიული კადრები იმის შესახებ თუ როგორ იწყებდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ისტორია 1989 წელს. ნაჩვენები იყო ორგანიზაციის პირველი ყრილობა და სხვადასხვა აქტივობები.

ორგანიზაციას დაარსებიდან 25 წლის იუბილე მიულოცეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ბ-მა ელგუჯა ხოკრიშვილმა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ ბ-მა გიორგი ცაგარეიშვილმა, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებმა.

შეხვედრაზე გაფორმდა ურთიერთთამშრომლობის მემორანდიუმი საქართველოს მწვანეთა მოძრაობასა და ზურაბ ჟვანიას ფონდს შორის.

შეხვედრის ბოლოს გაიჭრა საიუბილეო ტორტი.



პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა პროექტის „ქალთა როლის გაძლიერება ყველასათვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ნიდერლანდების მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით - „ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის WECF-ის თანამშრომლობით. პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, სოფლად თემთა განვითარების სააგენტო, საქართველოს ეკოლოგიურ მიწათმოქმედთა ასოციაცია „სემა“, ახალციხის განვითარების ცენტრი და ქალთა ორგანიზაცია „ფაროსი“



პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად

**რედაქტორი:** ლელა ყაჭეიშვილი

**გამოცემაზე მუშაობდნენ:** ლელა ყაჭეიშვილი, რუსუდან სიმონიძე, ავთანდილ გელაძე

**დიზაინი:** ირაკლი გულედანი

**საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო**

საქართველო, თბილისი, გრ. მუხაძის ქ. №16, 0162

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2306221; ელ-ფოსტა: info@greens.ge

Web-გვერდი: [www.greens.ge](http://www.greens.ge) [www.cleanup.ge](http://www.cleanup.ge)